ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 668

"20" დეკემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ლუკოილ ჯორჯიას" (ს/ნ. 204976302) შორის 2024 წლის 08 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „ლუკოილ ჯორჯიას" გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ლუკოილ ჯორჯიას" (ს/ნ. 204976302) შორის 2024 წლის 08 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „ლუკოილ ჯორჯიას" გათავისუფლების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 18 დეკემბრის №24.2163.2462 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ლუკოილ ჯორჯიას" (ს/ნ: 204976302) შორის 2024 წლის 08 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებით (შემდგომში: ხელშეკრულება) ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „ლუკოილ ჯორჯიას" გათავისუფლების საკითხი, შემდეგი ოდენობით:

ა) ხელშეკრულების 4.12 პუნქტის დარღვევის გამო, ხელშეკრულების 4.15 პუნქტის საფუძველზე 2024 წლის 11 აპრილიდან 2024 წლის 19 აგვისტოს ჩათვლით პერიოდზე - 13 100 (ცამეტი ათას ასი) ლარის ოდენობით;

ბ) ხელშეკრულების 4.13 პუნქტის დარღვევის გამო, ხელშეკრულების 4.15 პუნქტის საფუძველზე 2024 წლის 11 აპრილიდან 2024 წლის 26 ივლისის ჩათვლით პერიოდზე - 10 700 (ათი ათას შვიდასი) ლარის ოდენობით.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე